პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1977 ხუთშაბათი 20 იანვარი № 16 (16753) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

KOMUNISTI— საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

# ვიმუშაოთ უკეთ, ავამაღლოთ ეფექტიანობა და ხარისხი!

## პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების აქტივის კრება მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლებთან — 1976 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვეულებთან ერთად

**17 იანვარს** გამართულ საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე განხილეს რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის მეათე ხუთწლედის პირველი წლის მუშაობის შედეგები და 1977 წლის—დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წლის ამოცანები. რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვა მიმდინარეობდა ბოლშევიკური საქმიანობის, პრინციპულობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, რომლის მიზანია მშვიდობის შემდგომი განმტკიცება, ჩვენი სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლება და ეკონომიური ძლიერების ზრდა, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, ცხადყვეს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა მჭიდრო შეკავშირება პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო, რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის მტკიცე გადაწყვეტილება, რომ 1977 წელი ახალი წარმატებებით აღნიშნონ სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ შ. ა. პატარიძემ გააკეთა მოხსენება — „რესპუბლიკის მშრომელთა 1976 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების, 1977 წლის სოციალისტური ვალდებულებებისა და იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობს კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, მექანიზატორებისა და მეცნიერების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიმწოდებელი მრეწველობის მუშაკების, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან და „წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან მინდვრებისა და ფერმების მუშაკებისადმი, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი.

ახლა მთელ ქვეყანაში ახალი ძალით ჩაღდება საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის 60 წლისთვის ღირსეულად შეხვედრისათვის.

1976 წელი ბევრად იყო ღირსშესანიშნავი საქართველოს რესპუბლიკისათვის, ჩვენი ხალხისათვის, მთელი ჩვენი საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სამეურნეო ცხოვრებისათვის.

გასულ წელს ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის მთავარი, განმსაზღვრელი თავისებურება ის იყო, რომ იგი ითვალისწინებდა პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული განვითარების მდგომარეობის იმ ღრმა ანალიზს, რომელიც მოცემულია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ ივნისის დადგენილებაში.

საერთო დამახასიათებელი ტენდენციები, რომლებიც დაისახა და დღენიადაგ მტკიცდება ჩვენს საქმიანობაში, გამოიხატებოდა ეკონომიკისა და წარმოების პრობლემების გადაწყვეტისადმი უფრო ღრმა, უფრო მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომით, სახალხო მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა . კონკრეტულობის, მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისადმი მასწრაფებით. ეს ტენდენციები ამითაც გამოიხატა, რომ გაიზარდა მასების შრომითი აქტივობა, მათი შემოქმედებითი ენთუზიაზმი, გაჯანსაღდა სამუშაო ატმოსფერო წარმოების ყველა უბანზე, მოხდა ცვლილებები საკუთარი მოვალეობისადმი ადამიანთა დამოკიდებულებაში, ამაღლდა მათი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, დაინტერესება საკუთარი შრომის შედეგებით.

განვლილი 1976 წელი აგრეთვე გაიცხოვნებული იყო ამიერკავკასიის სამი მოძმე რესპუბლიკის — აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს მეგობრობის ცხოველმყოფელი შუქით, რაც კონკრეტულად აისახა მათი ტრადიციული ამხანაგური შეჯიბრებით.

მოძმე ხალხების, მეზობელი ხალხების სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალების, გაორკეცებული ენერგიის, შრომითი აქტივობისა და შემოქმედებითი ენთუზიაზმის წყარო იყო, რასაც ისინი აქსოვდნენ ხუთწლედის პირველი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების პროცესში განხორციელებულ საქმეებს.

ამ შეჯიბრებამ ნათლად გამოავლინა, დამაჯერებლად დაადასტურა სამი რესპუბლიკის მშრომელთა შორის დამკვიდრებული მტკიცე საქმიანი ურთიერთობა და მჭიდრო მეგობრული კავშირი, იყო მათი ურთიერთდახმარების, გამოცდილების ურთიერთგაზიარების თვალსაჩინო მაგალითი.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტები, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, რომლებიც ეყრდნობოდნენ სამი ხალხის ტრადიციული მეგობრობის დიდ ძალას, თავიანთი პრაქტიკული საქმიანობა-

(გაგრძელება მე-2 გვ.).

# ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ტულის პარტიულ აქტივს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ტულის პარტიული აქტივის შეკრებაზე.

საბჭოთა ფოტოქრონიკა

**19 იანვარს** ტულაში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** შეხვედრა ოლქის პარტიულ აქტივთან.

საუბრის დროს ლ. ი. ბრეჟნევმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმ საკითხს, რომ საჭიროა პარტიული და სამეურნეო ორგანოების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესება სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაძლისებისთვის, სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიური ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

ახლანდელი ხუთწლედის მეორე წელი, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმ, საბჭოთა ხელისუფლების 60 წლისთავის წელია. ეს კი ნიშნავს, რომ თვითეული ჩვენგანი, სადაც უნდა მუშაობდეს, საკუთარ თავს, საკუთარ შრომას გაორკეცებული და გასამკეცებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს. ასე სვამს საკითხს პარტიის ცენტრალური კომიტეტი. მე მწამს, რომ ტულელები მხარს დაუჭერენ საკითხის ამგვარ დასმას.

ხალხმა და პარტიამ, განაგრძო ლ. ი. ბრეჟნევმა, დამასახურებასამაგრ შეიფასეს თქვენი მუშაობა. ქალაქს გმირის წოდება მიენიჭა. ქალაქისა და ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს და აკეთებენ პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად. მაგრამ მოდით, — და ამ ნებას მივცემ ჩემს თავს დავარღვიო საიუბილეო რიტუალი — გულახდილად ვილაპარაკოთ, აიღეთ ისეთი საკითხები, როგორიც არის მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება და ახალი ობიექტების დროული ამოქმედება, როგორიც არის ქალაქის კეთილშენყობა და მომარაგება, ბინების შენებლობა და მომსახურების სფერო, რატომაც და ნაყოფიერი შრომა, პროდუქციის ხარისხი — განა ტულამ ამოწურა თავისი შესაძლებლობანი? განა ტულელ კომუნისტებს, ტულელ მშრომელებს არ შეუძლიათ უკეთ, კიდევ უფრო ეფექტიანად მუშაობა? ვფიქრობ, რომ შეუძლიათ და არა მარტო შეუძლიათ, არამედ ასეც უნდა მოიქცნენ.

ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციების ერთერთი ძირითადი ამოცანა უნდა იყოს კოლექტივებში აღმშრდელობითი მუშაობა, თვითეულის შრომის დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ამაღლება მინდობილი სამუშაოსათვის.

უნდა განავრცოთ ტულელ ოსტატთა სახელოვანი ტრადიციები და თქვენი ქალაქი ქვეყნის ერთერთ თანამედროვე ინდუსტრიულ ცენტრად გადაქცეოთ. ამისათვის კი საჭიროა მუყაითი შრომა. და მე ვფიქრობ, რომ ტულელებს ამის ძალა შესწევეთ.

თვითეულ კოლექტივს, ყველა მშრომელს მკაფიოდ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი მთლიანად ხუთწლედისა და მისი ყოველი წლის ახალი მიზნები და ამოცანები, ყოველნაირად ავითარებდეს მოძრაობას პირადი და კოლექტიური კომპლექსური გეგმების შემუშავებისა და შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერებისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის. ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა ურჩია უფრო ფართოდ გამოიყენონ შრეკინოელთა მეთოდი, რომელიც ტულის ოლქში იშვა.

ლ. ი. ბრეჟნევმა დიდი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა ტულელ კომუნისტებს.

სკკპ ტულის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ხ. იუნაკმა**, შეხვედრაზე გამოსულმა სხვა ორატორებმა გულთბილი მადლობა გადაუხადეს ლ. ი. ბრეჟნევს დიდმნიშვნელოვანი საქმიანი რჩევისათვის და აღუთქვეს, რომ ამ რჩევას განუხრელი ხელმძღვანელობისათვის გამოიყენებენ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში. ამხ. ი. ხ. იუნაკმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ოლქის კომუნისტები ხელმძღვანელობენ პარტიული დოკუმენტების მითითებებით, იმ დებულებითა და დასკვნებით, რომლებსაც ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვები შეიცავს.

(საკადესი).

# საქართველოს მხატვართა მეცხრე ყრილობას

## ხელოვნება — ხალხს

### გაიხსნა საქართველოს მხატვართა მეცხრე ყრილობა

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მიესალმება საქართველოს მხატვართა მეცხრე ყრილობას და ნაყოფიერ მუშაობას უსურვებს მას.

ქართველი მხატვრები თავიანთ ყრილობაზე შეიკრიბნენ მთელი საბჭოთა ხალხისათვის ღირსშესანიშნავ დროს. დაიწყო მეათე ხუთწლედის მეორე წელი, რომლის დიდი გეგმები განსაზღვრა ლენინური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ, რომელმაც საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, კულტურული განვითარების გრანდიოზული პროგრამა დაგვიტოვა.

პარტიის მიერ შემოქმედი ინტელიგენციის საქმიანობისათვის მიცემული დიდი შეფასება, საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებისადმი ულსსმიერი დამოკიდებულება საქართველოს მხატვრებს შთააგონებს კიდევ უფრო სანატრელად აღბეჭდონ გმირული ბრძოლა, რომელსაც რესპუბლიკის შრომელები ეწევიან სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების ღირსეულად შესრულებისათვის;

საქართველოს მხატვართა მერვე ყრილობის შემდგ განვლილი პერიოდი რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების ოსტატთა ახალი დიდი მიღწევებით, რომელთა იდეურ-ესთეტიკურ და ზნეობრივ ფერდში მხატვრობის როლის ზრდით აღინიშნა. მოქალაქეობრივი პათოსი, სოციალური მიმართულება, დიდი პროფესიული ოსტატობა განსაზღვრავს რესპუბლიკაში და საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების დამახასიერებელ აღიარებას, შინაარსით სოციალისტური, სულისკვეთებით ინტერნაციონალისტური და ფორმით ეროვნული საბჭოთა კულტურის განვითარებაში გაღებულ მის წვლილს.

ასულდგმულებდეთ ხალხის ცხოვრება, მუდამ იყვნენ მოვლენათა შუაგულში, სოციალისტური რეალიზმის მეთოდით ასახავდნენ საბჭოთა ადამიანების დიად საბრძოლო და შრომითს გმირობას, ქმნიდნენ ჩვენი სამშობლოს დღევანდელობის ამხანგელ მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, ლაზათს მატებდნენ ჩვენს ყოფა-ცხოვრებას, ამაღლებდნენ სახვითი ხელოვნების როლს ხალხის ცხოვრებაში, იყვნენ პარტიის ერთგული თანაშემწენი — ეს მთავარ ამოცანად უნდა მიიჩნიონ შემოქმედმა ინტელიგენციამ, ყველა თაობის ფუნჯისა და საკრეთლის ოსტატებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, რომლის იდეურ-ესთეტიკური და პროფესიული აღზრდა პარტიისა და ხალხის ყურადღების ცენტრში დგას, რაც ნათლად გამოიხატა ახალგაზრდა შემოქმედ ინტელიგენციასთან მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამახწინანდელი დადგენილებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ ქართველი მხატვრები ივნისის ნაბეჭდ ნენეს, ნიგსა და უნარს მოაზმარენ დიადი ჰუმანისტური მოვალეობის სამსახურს, და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვნებ იუბილეს წელს შექმნიან ჩვენი ეპოქის შესაფერის ახალ ნაწარმოებებს, ღრმა რევოლუციურობით, ხალბოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გრძნობით გამსჭვალულ ნაწარმოებებს, რომლებიც ზრდის კაცობრიობის კომუნისტური მომავლის ერთგულ და თავდადებულ მშენებლებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

**19 იანვარს** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს მხატვართა IX ყრილობა. მისმა დელეგატებმა განიხილეს საქართველოს სახვითი ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებითი მოღვაწეობის განვლილი ხუთი წლის შედეგები, იმსჯელეს ამ ამოცანებზე, რომლებიც მათ წინაშე დგას სკკპ ისტორიული XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

დარბაზში შეიკრიბნენ ყრილობის დელეგატები, მოსკოვიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

ყრილობის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები პ. გილაშვილი, ა. ინაური, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ზ. ჩხეიძე, ჟ. შარტავა, ო. ჩერქეზია, ხ. ხაბეიშვილი.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა უხუცესმა მხატვარმა, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა, სოციალისტური შრომის გმირმა **ლადო გუდიაშვილმა.**

აირჩიეს ყრილობის სამუშაო ორგანოები, პრეზიდიუმი, სამდივნო, სამანდატო და სარედაქციო კომისიები.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში შეკრებილთა ტაშის გრიალში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო ამხანაგ **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის** მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვანყოფილების გამგემ **ა. ალექსიძემ** წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საქართველოს მხატვართა IX ყრილობისადმი, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ყრილობაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა **ნ. ჯანბერიძემ.**

სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება წაიკითხა ამ კომისიის მდივანმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა **რ. ჯავრიშვილმა.**

მოხსენებათა გამო გაჩაღდა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სამხატვრო ფონდის გამგეობის თავმჯდომარე, რესპუბლიკის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი **გ. გელაძე, ა. ინაური, ზ. პატარიძე, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ზ. ჩხეიძე, ჟ. შარტავა, ო. ჩერქეზია, ს. ხაბეიშვილი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ე. სევასტიანოვი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე **ა. ალექსიძე,** საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი **გ. თოთიბაძე.**

(საქინფორმი).

# სსრ კავშირის სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და უროს“

**19 იანვარს** სსრ კავშირის სახალხო მხატვარს **ვლადიმერ (ლადო) დავითის-ძე გუდიაშვილს** გადეცა ლენინის ორდენი და ოქროს medali **„ნამგალი და ურო“.**

ამ დიდი ჯილდოს გადაცემისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი** გულთბილად მიესალმა გამოჩენილ მხატვარს, აღნიშნა დიდრეკი სახვითი ხელოვნების უფროსლამა გამოჩენილ მხატვარს, ოსტატობისა და ოფიციალურ ნაწარმოებებს, რომელიც ეროვნულ ფარგლებს ეფინებიან ეროვნული ფერადოვნებისა და ეროვნული ფორმის ეროვნული ფორმა.

საუკუნეზე მეტია უანგაროდ ემსახურება შშობელ ხალხს, საბჭოთა კულტურის აყვავებას. ამხ. პ. გილაშვილმა ხელოვანს დიდი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ლადო გუდიაშვილმა გულითადი მადლობა მოახსენა პარტიას და მთავრობას თავისი შრომაზე დიდი შეფასებისათვის.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ **ა. ინაური, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ზ. ჩხეიძე, ჟ. შარტავა, ო. ჩერქეზია, ს. ხაბეიშვილი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ე. სევასტიანოვი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე **ა. ალექსიძე,** საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი **გ. თოთიბაძე.**

(საქინფორმი).

# ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვში დაბრუნდა

**19 იანვარს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** ტულიდან მოსკოვს გაემგზავრა.

ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე ათეულათასობით მცხოვრებნი გულითადად მიესალმებოდნენ ლენინად ილიას-ძე ბრეჟნევს.

ვაგზალზე ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** გაიცილეს სკკპ ტულის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ხ. იუნაკმა,** სკკპ ტულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ა. პახტუხოვმა,** პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების ბიუროს წევრებმა, საოლქო და საქალაქო აღმასკომების წევრებმა, ტულის დაცვის მონაწილეებმა, შრომის მოწინავეებმა, გმირი ქალაქების დელეგაციებისა და ტულასთან შეჯიბრებაში ჩაბმული ქალაქების კალუგისა და რიაზანის დელეგაციათა ხელმძღვანელებმა.

**19 იანვარს** ტულიდან მოსკოვში დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი.**

ვაგზალზე ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევს** დახვდნენ ამხანაგები **ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ფ. უსტინოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, კ. ო. კატუშევი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. პ. რიაბოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი **ნ. ა. შჩოლოკოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები **ა. მ. ალექსანდროვი, ს. ს. ცვიგუნი,** სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები **კ. მ. ბოგოლიუბოვი, ი. მ. ჩურბანოვი,** სსრ კავშირის გზათა მინისტრი **ი. გ. პავლოვსკი** და სხვები. (საკადესი).

# ლ. ი. ბრეჟნევი ტელეფონით ესაუბრა ჯ. ფორდს

**19 იანვარს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის **გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი** ტელეფონით ესაუბრა **ჯ. ფორდს,** რომელმაც, ტოვებს რა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტს, თეთრი სახლიდან დაურეკა **ლ. ი. ბრეჟნევს** კრემლში.

გამართული საუბრის დროს ჯ. ფორდმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას იგი ყოველთვის დიდად აფასებდა დიალოგს, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან დაუმყარდა. და ახლა, ეტოვებს რა პრეზიდენტის პოსტს, თქვა ჯ. ფორდმა, გულით მინდა, რომ საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის გაგრძელდეს დიალოგი და მიღწეულ იქნას ახალი პროგრესი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარებაში, რომელსაც ფაერესად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი ორი ქვეყნისათვის, ისე მთელი მსოფლიოსათვის.

ჯ. ფორდმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე მორიგებას, რომელსაც ლ. ი. ბრეჟნევთან მისი შეხვედრის დროს მიაღწიეს ვლადივოსტოკში 1974 წელს. მან გამოთქვა იმედი, რომ ლ. ი. ბრეჟნევი და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი ჯ. კარტერი ვლადივოსტოკში ჩაყრილი კარგი საფუძვლის მეოხებით მიაღწევენ წინსვლას ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

ჯ. ფორდმა „ბაყაფილება გამოთქვა, იმის გამო, რომ „ეროი ურთიერთობა დაუმყარდა ლ. ი. ბრეჟნევთან და დასძინა, რომ როგორც „ერმო პირს, სურს თავისი კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებაში.

თავის მხრივ ლ. ი. ბრეჟნევმაც ასეთი „ეროფილება გამოთქვა იმ ურთიერთობის გამო, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან დაუმყარდა. ჩვენ „ეფასებთ ყოველივე დადებითს, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, რაც „ი შევძელით ერთად გვეღონა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის „ეუმჯობესების ათ „ეს, მთლიანად მსოფლიოში ვითარების „ეუმჯობესებისათვის. „ე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს მიერ „ეადიოსტოკში მიღწეულ მორიგებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე ახალი „ეძლევადიანი შეთანხმების შესახებ და ჩვენს ერთობლივ მონაწილეობას „ეროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მუშაობაში. და ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულ მორიგებათა რეალიზაციის საქმეში ყველაფერი და ყოველივე „ეერ იყო ისე, როგორც „ინდა ყოფილიყო.

მთავარი, რამაც სასიკეთო ძირა მოგვახდინონა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში, — „ეარის თანამედროვე სამყაროში საქმის მდგომარეობის რეალისტური შეფასება და მზადყოფნა ინგარიში „ეიუშოთ ერთერთის „ანონიერ ინტერესებს, ამასთან „ვესმოდეს ჩვენი ქვეყნების განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მსოფლიოს ბედისათვის.

რა თქმა უნდა, თქვა შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა, ბევრი გადაუყვეტელი საკითხი დაგვრჩა, მოგვერის არანაკლებ რთული და დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ადმინისტრაციასთან და მის მეთაურთან პრეზიდენტ ჯ. კარტერთან ერთად უნდა გადაიწყვიტოთ. დარწმუნებული ვართ, რომ თუ ამგვარი მიდგომით იხელმძღვანელებენ ორივე მხრივ ფუნდამენტურ მორიგებებს დაიყრდნობიან, ჩვენ ქვეყნებს შეუძლიათ „ეზრუნველყონ და „ეიცილებლად „ინდა „ეზრუნველყონ შემდგომი პროგრესი ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომლებსაც საარსებო მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ხალხებისათვის, ყველა სხვა ერისათვის.

ეს ეხება „ეზინარეს „ყოლისა გამაკეთებელი შეიარაღების შეწყვეტის, ომის საფრთხის შემდგომი შემცირებისა და საბოლოო ანგარიშით აღკვეთის ამოცანას.

დასასრულ ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა იმედი, რომ თავისი შემდგომი მოღვაწეობით ჯ. ფორდი „ელოვიდ შეუწყობს ხელს ამ საქმეს, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა მშვიდობისა და თანამშრომლობის გზით ვითარდებოდეს. (საკადესი).

# ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲣᲙᲔᲗ, ᲐᲕᲐᲛᲐᲚᲚᲝᲗ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ!

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ)

ᲑᲝᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲣᲤᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲩᲔᲚᲘ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲫᲚᲘᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲠᲝᲒᲘᲝᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲦᲐᲠᲗᲝᲗᲔᲑᲘᲡ.

ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲕᲐᲠᲗ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲗᲥᲕᲐ ᲙᲐᲢᲔ ᲯᲘᲠᲒᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲒᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲠᲒᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ

# ვიმუშაოთ უკეთ, ავამაღლოთ ეფექტიანობა და ხარისხი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.**

აქტივის კრების მოშველობა. თქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დრო, როცა სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებითა და პარტიისა და მთავრობის სხვა ისტორიული გადაწყვეტილებებით ღფრთოვანებული მთელი ჩვენი ქვეყანა, პარტია, ხალხი განსაკუთრებული აღმავლობითა და ენერგიულობით ეწყიან შემოქმედებითს, აღმშენებლობითს შრომას მეათე ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის.

მეათე ხუთწლედის მეორე წელი განსაკუთრებული წელია ჩვენი ხალხისა და: ჩვენი პარტიის ისტორიაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მატიანეში. ეს არის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი მე-60 წლისთავის წელი.

ჩვენმა აქტივის კრებამ უნდა შეიძუშაოს დიდი ოქტომბრის იუბილეს ღირსეული შეხვედრის კონკრეტული სამოქმედო პროგრამა.

ჩვენ მოვისმინეთ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის ამხ. ზ. ა. პატარაძის შინაარსიანი, საქმიანი მოხსენება, სახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის საყოველთაო წარმომადგენელთა, პარტიელ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ მუშაკთა საინტერესო გამოსვლები, რომლებშიც ამომწურავად გაშუქებულია ხუთწლედის პირველი წლის შედეგები და განსაზღვრულია არა მარტო მისი მეორე წლის, არამედ თვალსაწიერი მომავლის ამოცანებიც.

ჩვენი კრების მუშაობას განსაკუთრებულ აზრს ანიჭებს აქ სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციების ყოფნა. ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები საინტერესოდ გვესაუბრნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელთა დიდ წარმატებებზე.

ნება მიბოძეთ მხურვალედ მივესალმო ჩვენს ძვირფას სტუმრებს, ჩვენს აზერბაიჯანელ და სომეხ ძმებს ეუთხრა, რომ მათი გამარჯვებები ჩვენი გამარჯვებებიც არის, ეუსურეო მათ და მათი სახით ამ მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს ახალი დიდი წარმატებანი მეათე ხუთწლედში პარტიის დიდ წინასწარმეტყველურ ღონისძიებებზე.

უკანასკნელი მკაფიო პარტიულ დოკუმენტებში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილში, რომლითაც მან მიმართა კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, მეცნიერებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიმწოდებელი მრეწველობის მუშაკებს, საბჭოთა კავშირის ყველა შრომელს; „წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ლენინური კავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში განსაზღვრულია ქვეყნის შრომელთა უახლოესი ამოცანები, დასახულია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების, მეათე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა შესრულების კონკრეტული პროგრამა.

მიმდინარე ხუთწლედის პირველი წელი რესპუბლიკაში იყო წელი, რომელშიც განსაზღვრა ძირითადი მიმართულებანი ხარისხისა და ეფექტიანობისათვის ბრძოლაში, იყო იმ რთული ხელოვნების დაუფლების წელი, რომ მეურნეობის კაძოლის ქვეკუთხედად ვიქციოთ ისეთი განზოგადებული მაჩვენებლები, როგორიც ხარისხი და ეფექტიანობაა.

ჩვენთვის, საქართველოს კომუნისტებისათვის, განვლილი 1976 წელი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ჩვენი ლენინური კომუნისტური პარტიის მებრძოლმა ხელმძღვანელმა შტაბმა — სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა რესპუბლიკის კომპარტიის საქმიანობას, თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის შესახებ ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული, საერთო პარტიული დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლის ხუთ ძნელ წელს.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება აჯამებს 1976 წლის, მეათე ხუთწლედის პირველი წლის შედეგებს. საქართველოს სსრ მრეწველობამ პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა ვადამდე — 24 დეკემბრისათვის შეასრულა. გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია თითქმის 146 მილიონი მანეთის პროდუქცია. მთელი პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ 141,9 მილიონი მანეთის გადაჭარბებით გაანადა.

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა შორის არიან რუსთავის მეტალურგიული ქარხანის, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“, ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ავტომქარხნისა და სხვა საწარმოების მშრომელები.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობა რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით ეთარდება.

მაგრამ მრეწველობის გასულ წლის მუშაობის შედეგები თვითდამშვიდების არავითარ საფუძველს არ გვაძლევს. მტკიცე და გულდაჯერებული წინსვლისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ფხიზლად და კრიტიკულად შეგეფასოთ ჩვენი წარმატებანი და ძირითადი უყურადღება დავუთმოთ მიმდინარე პრაქტიკული საქმიანობის ნაკლოვანებებს. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მშრომელებმა მომქმედების კონკრეტულ პროგრამად აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის, გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიანი ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, სადაც მკაფიოდ გადმოცემულია სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების მეცნიერულად დასაბუთებული ტაქტიკა. ჩვენი ამოცანები დაკონკრეტდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე.

პირველ რიგში ჩვენი ძალები უნდა მოვახმაროთ სამრეწველო წარმოების მაქსიმალურად სწრაფი ტემპის უზრუნველყოფას. 1975 წელს, 1974 წელთან შედარებით, მთლიანად რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების ტემპი 11,2 პროცენტით გაიზარდა. შარშან კი ამ მაჩვენებელმა 5,2 პროცენტი შეადგინა, რაც დასახულ დონეზე დაბალია ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებათა გათვალისწინებით. შარშან სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა, 1975 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებთ, შეადგინა — პირველ კვარტალში 6,8 პროცენტი, მეორე კვარტალში — 5,9 პროცენტი, მესამე კვარტალში — 4,1 პროცენტი, მეოთხე კვარტალში კი 3,9 პროცენტი. როგორც ხედავთ, მაჩვენებლების მრეწველ გამუდმებით ეცემოდა.

საჭიროა ყოველმხრივ გავაანალიზოთ ჩვენს ამ შედეგები, გავეკრკვეთ შეცდომებსა და ხაფლეგანებებში, საჭირო გაკეთილი და დროული სწორი დასკვნები გამოვიტანოთ.

წინასწარი შედეგებით, შინაგანი რეზერვების რეალიზაციის გზით მიმდინარე წელს უზრუნველყოფილი იქნება 164 მილიონი მანეთი მოცულობის ზეგეგმიი პროდუქციის გამოშვება. იმ საწარმოებსა და გაერთიანებებს შორის, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს წარმოების ზრდის შინაგანი რეზერვების გამოვლინების საქმეში, უნდა დავასახელოთ საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“, სამთამადნო კომბინატი „პიკადურმანგანუმი“ და სხვ.

მაგრამ ყველა რეზერვი ტოლფასოვნად როდი გამოგვიელენია. მაგალითად, ვერ დაეფთანხმებით დასკვნებს, რომ ინდუსტრიულ ქალაქ რუსთავს აქვს შესაძლებლობა წელს გამოუშვას მხოლოდ 4 მილიონი მანეთის ზეგეგმიი პროდუქცია, მაშინ როდესაც დამოვლენილი რეზერვების მოცულობა თელავის რაიონში 5 მილიონ მანეთს შეადგენს. მაშასადამე, ამ მიმართულებით მუშაობა უნდა განვაგრძოთ.

ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ხუთწლედის პირველ წელს ბრძოლა საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის დაჯაჭირებული იყო ბევრი სიძნელის დაძლევასთან. ყურადღების მოუსვლელობისთან ერთად შეფერხებები გვქონდა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში.

ეკონომიკას დიდ ზიანს აყენებს საგეგმო დავალებათა ჩაფუშვა. მაგალითად, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელმა კომბინატმა (დირექტორი ვ. მახარაძე) წლიური გეგმა მხოლოდ 73,9 პროცენტით შეასრულა.

საწარმოო გაერთიანება „საქყოფქიმია“ მოლიანი პროდუქციის გამოშვებაში გასული წლის პირველი თვიდანვე ჩამორჩებოდა, თუმცა წლიური გეგმა გაერთიანებამ შეასრულა და 180 ათასი მანეთის ზეგეგმიი პროდუქციაც კი გამოუშვა, რაც მიღწეული იყო გაერთიანების ხელმძღვანელობის მეცადინეობით (გენერალური დირექტორი ვ. თათარაშვილი), რომელმაც გეგმა 670 ათასი მანეთით შეამცირეს.

საგეგმო დავალებათა კორექტირების მეცდარ გზას დაადგნენ სოხუმის ხელსაწყოს ქარხნის (დირექტორი ა. მიქაძე), ფოთის პიდროგენიზაციის ქარხნის — (დირექტორი დ. მაღალაშვილი), თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის (დირექტორი ი. მანგალაძე), ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის (დირექტორი შ. ქაქაძე) ხელმძღვანელები.

ეს ფაქტები, რადაც უნდა დაუჯდეთ შეასრულონ გეგმა, ან, უფრო ზუსტად — შეიმნაგ შესრულების მოჩვენებითობა, ზოგჯერ მოჰყვება ისეთი სერიოზული ნეგატიური მოვლენები, როგორიც არის თვალსაზრისი და წამატებანი. სწორედ ასე მოიქცნენ საწარმოო გაერთიანება „ელექტროხელსაწყოს“ ხელმძღვანელები (ყოფილი გენერალური დირექტორი ა. ბოხუა).

სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია შრომის ნაყოფიერების ზრდა. რესპუბლიკის მრეწველობას შარშან რომ უზრუნველეყო შრომის ნაყოფიერების 5 პროცენტით ზრდა, რაც სხვათა შორის, სოციალისტური ვალდებულებებით იყო გათვალისწინებული, ჩვენ დამატებით 60 მილიონი მანეთის პროდუქციას მივიღებდით.

ცალკეულმა საწარმოებმა და გაერთიანებებმა როგორიც არიან, მაგალითად, საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირი“ (გენერალური დირექტორი ვ. ლეონიძე), ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა (დირექტორი ა. ქანტარაშვილი), რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანა (დირექტორი ი. კრძელიძე), საქართველოს მეღვინეობის მანქანათმშენებლობის საწარმოო გაერთიანება (გენერალური დირექტორი კ. ციციძე) არათუ გაზარდეს, არამედ შეამცირეს კიდეც გამომუშავება ერთ მომუშავეზე.

მრეწველობის დარგში ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა სიმძლავრითა ათვისების ამოცანა. მაგალითად, 1975 წელს ამოქმედებულმა სამძლავრეებმა დაბანდებულ [illegible] ლმა სიმძლავრეებმა სახსრების მანეთზე გაანგარიშებით მხოლოდ 30-35 კაპიკი უკუგება მოგვაცეს. 1977 წელი ამ თვინდების ექსპლოატაციის მეორე წელი იქნება. მათმა მეტმა ნაწილმა უნდა მოგვაცეს სრული მანეთის უკუგება, ისე იგი ძირითადი თვინდების მანეთზე გაანგარიშებით 150-160 კაპიკი. ეს ნიშნავს, რომ მარტო 1975 წელს ამოქმედებული ახალი სიმძლავრეებისაგან 1977 წელს თუ მათ ყარანტიან ექსპლოატაციას გავიწევთ. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ 400-500 მილიონი მანეთის პროდუქციის მატება. ამასთანავე ჩვენ გვაქვს 1976 წელს ამოქმედებული ობიექტები, რომლებსაც მიტად ცოდი ექსპლოატაციის დროსაც კი შეიძლიათ მოგვაცენ წარმოების მოცულობის მატება სულ ცოტა 100-150 მილიონი მანეთის ოდენობით, გვაქვს ეარეთვი წარმოების ინტენსიფიკაციის დიდი რეზერვები.

გადაჭრით უნდა ავამაღლოთ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში სიმძლავრეთა გამოყენების დონე, ზუსტად დავიცვათ ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებისა და ათვისების ვადები.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა. გაიზარდა ხარისხის სახელმწიფონიშნიანი პროდუქციის გამოშვება. 1976 წელს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა 400 დასახელების ხარისხსნიშნიანი პროდუქცია გამოუშვეს 1975 წლის 247-ის ნაცვლად. ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა ისეთ ნაწარმს, როგორიც არის კოქსსაშრობი აგრეგატები, ელექტროშტამპელიები, სამელოდიანი მიწსასწორები, მილსაჭრელი ჩარხები, შესაფული აპარატები, ტრანსფორმატორები, უნაკერო ფოლადის მილები, ასინქრონული ელექტროძრავები, მიკროლენტები, ელექტროფორეკები, ნაკეთობები ბიტუმი, დარიშხანის ანჰიდრიდი და ბევრი სხვა.

ხარისხსნიშნიანი პროდუქციის გამოშვების საქმეში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ისეთმა საწარმოებმა, როგორიც არის, მაგალითად, თბილისის ქარხანა „მიკროძრავი“, ფოთის ქარხანა „ელექტროაპარატი“, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა და სხვ.

მაგრამ, გარკვეული დადებითი ძვრების მიუხედავად, რესპუბლიკის მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი ჯერ კიდევ ბევრ ადგილზე ჩამორჩება საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პრესპექტიული გეგმის შესაბამისად 1980 წელს პროდუქციის გამოშვების მოცულობა მიაღწევს მილიარდ 620 მილიონ მანეთს. ხარისხის სახელმწიფონიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონის საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 18 პროცენტს, ხოლო ხარისხსნიშნიანი ნაწარმი 1500 დასახელებისა გამოვა.

საქართველოს სსრ რესპუბლიკას ხარისხსნიშნიანი პროდუქციის დასახელების რაოდენობითა და მოცულობით ახლა მხოლოდ მეთერთმეტე ადგილი უჭირავს.

ხარისხის პრობლემა მთელი ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედი უნდა გახდეს, მაგრამ ხარისხისათვის ბრძოლა უნარიანი, შეთანხმებული, რაციონალური, მეცნიერულად დასაბუთებული უნდა იყოს. სამწუხაროდ, ყოველთვის მეცნიერული დონეზე როდი ვიწევთ ამ მუშაობას.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა თანახმად, 1976-1980 წლებში სამრეწველო წარმოების მატებამ მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის ხარჯზე მთლიანი პროდუქციის საერთო მატების 55-57 პროცენტი უნდა შეადგინოს.

როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1975 წლის ოქტომბერში განიხილა მინიმალური კაპიტალური დანახარჯებით მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციის საკითხი და დასახა კონკრეტული ამოცანები უახლოესი პერსპექტივისათვის. ეს ღონისძიებანი ძირითადად ხორციელდება, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არ შესრულებულა. რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების აპარატებში ჯერ კიდევ არ შექმნილა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების სამეგობოთა კოორდინაციისა და დაგეგმვის სპეციალური ქვედანაყოფები; ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა სამშენებლო ორგანიზაციები უხალისოდ ჰკიდებენ ხელს მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციის და ამით საფრთხეს უქმნიან დასახული ღონისძიებების შესრულებას.

შარშან რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების გზით მთლიანი პროდუქციის მატების გეგმა ვერ შესრულდა საქართველოს სსრ სშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი ო. ლოლაშვილი). რეკონსტრუქციის გზით მთლიანი პროდუქციის უმნიშვნელო მატება აქვთ მშენებლობის სამინისტროს (მინისტრი ნ. მიქმარაშვილი), სასოფლო მშენებლობის სამინისტროს (მინისტრი ი. ხარატიშვილი), ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი შ. თითბერიძე) და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს (მინისტრი თ. დავითაშვილი). რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების გზით მთლიანი პროდუქციის მატების 1976 წლის სოციალისტური ვალდებულებანი ვერ შეასრულეს ქვების, ელექტროტექნიკური მრეწველობის, ადგილთვე ხელსაწყოთმშენებლობის საწარმოებმა.

კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების [illegible] ... ლმა ... ლი ... ლი ... ლ ... ... ...

# ვიმუშაოთ უკეთ, აქტიურად, ეფექტიანობა და ხარისხი!

(დასასრული)

ოყოს, ნაკლოვანებანი არის, თანაც ზოგჯერ სერიოზულიც.

შარშან ამიერკავკასიის რკინიგზამ ვერ შეასრულა ისეთი დიდმნიშვნელოვანი ტვირთის გადაზიდნის გეგმა, როგორიცაა ქვანახშირი, შაგი ლითონები, მიხერალური სასუქები.

ვაგონების მოცდენის შემცირებისათვის ბრძოლას ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მსუბუქი და კვების მრეწველობის, სამენასალთა მრეწველობის სამინისტროები, რესპუბლიკის მთავარმომმართველები, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ და სხვა ორგანიზაციები.

აღმოუფხვრელი არ არის სახელმწიფო ავტოსატრანსპორტო საშუალებების მცდარი და უკანონო გამოყენების შემთხვევები.

ყოველგვარი ტრანსპორტი ისე უნდა მუშაობდეს, როგორც კარგად გამართული საათის მექანიზმი. რკინიგზელები, ავტომობილისტები, ავიატორები და მეზღვაურები ერთიან სატრანსპორტო კოლეგიერს უნდა წარმოადგენდნენ, შეუფერხებლად ემსახურებოდნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობასა და მოსახლეობას.

ვაანალიზებთ რა 1976 წლის შედეგებს, შენებლობის ხაზით, უნდა ითქვას, რომ ამ დარგში კარგი ტენდენციები დაისახა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განსაზღვრული საწარმოო დანიშნულების 27 უმნიშვნელოვანესი ასამუშავებელი მშენებლობიდან მწყობრში ჩადგა 26.

რესპუბლიკაში უკანასკნელი თექვსმეტი წლის მანძილზე პირველად ერთდროულად შესრულდა საცხოვრებელი სახლების, სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური განათლებისა და ჯანმთელობის დაცვის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის პროგრამა.

ამასთან ერთად საქართველოს კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობა ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. მთლიანად რესპუბლიკაში გეგმაზე 273 მილიონი მანეთით ნაკლები ძირითადი ფონდებია ამოქმედებული, ათვისებული დარჩა 72,5 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის გამოყოფილი 37,2 მილიონი მანეთი.

წლეულს ვალდებულება ვიკისრეთ საექსპლოატაციოდ გადავცეთ 30 ათასი კვადრატული მეტრით მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე 1976 წელს. ეს სავსებით რეალური ამოცანაა, რომელიც პირნათლად უნდა შეასრულოთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომელშიც განსაზღვრეს მიმდინარე წლის ყველა ასამუშავებელი ობიექტი — სკოლები და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი. უნდა განვამტკიცოთ წარმატებები ჯანმრთელობის დაცვის, განათლების ობიექტების მშენებლობაში.

ტაბიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს ობიექტებმა, რომლებიც საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს წელს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის იუბილესთვის. მათ რიცხვს, უპირველეს ყოვლისა განეკუთვნება ზაჭარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის და გრიბოედოვის სახელობის თეატრები, ხდი მდინარე მტკვარზე თბილისში, სასტუმრო „ინტურისტი“ თელავში, კვების მრეწველობის საწარმოები, ხაში-ძესტების ავტოგზატკეცილი და სხვები. რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 1, 7 და 14 ტრესტებმა გამოიჩინეს ინიციატივა, რომ საიუბილეო თარიღისათვის შეასრულონ საცხოვრებელი სახლების სექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებანი. ამ საყურადღებო თოსლნობის მხარი უნდა დაუჭიროონ მშენებელთა სხვა კოლექტივებმაც.

როგორც ჩანს, დროა მკაცრად მოვითხოთ ამისათვის თვითეულ ხელმძღვანელს. საწარმოების საქმიანობის შეფასების დროს, წარმოების გეგმის შესრულებასთან ერთად, საქიროა გავითვალისწინოთ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობაც.

კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების საქმეში ძირითებელი ადგილი უჭირავ დაპროექტებას. გადაჭრით უნდა მივაღწიოთ მაღალ ტექნიკურ დონეზე პროექტების დროულ შედგენას.

გასულ სამეურნეო წელს რესპუბლიკის მუშათა კლასმა შრომითი გმირობის, შემოქმედებითი გმირობის საოცარი გვიჩვენა. ვამაყობთ ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სამშენებლო ორგანიზაციების წარმატებებით, ჩვენი მუშათა კლასის, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, ყველა მშრომელის წარმატებებით.

ჩვენ ვამაყობთ რესპუბლიკის მუშათა კლასით, მისი მაღალი პოლიტიკური შეგნებით, მისი უმაგალითო შრომითი გმირობით, რესპუბლიკისა და ქვეყნის წინაშე თავისი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობის მაღალი გაგებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სახელოვან მუშათა კლასს დიდ მადლობას უცხადნან გმირული შრომისათვის, მისი ზნეობრივი და პოლიტიკური გმირობისათვის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ყველა მიღწევისათვის.

ღირსეულად ვაფასებთ რა მუშათა კლასის, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის შრომელთა მიერ გაწეულ მუშაობას მეათე ხუთწლედის პირველ წელს, ჯეროვან პატივს ვცემთ ყველას დამსახურებისაებრ, მადლობას ვუცხადებთ ტიტანური შრომისათვის, ამავე დროს მოვუწოდებთ კვლავაც მაღლა ატაონ კომუნისტური შრომის დროშა, სოციალისტური შეჯიბრების დროშა, იყვნენ მეათე ხუთწლედის მეორე წლის მიჯნების დაპყრობისათვის ბრძოლაში ავანგარდში. მუშათა კლასი ჩვენი ძალა, ჩვენი სიამაყე, ჩვენი ბურჯი, ჩვენი იმედია!

ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის მუშათა კლასი ღირსეულად გამამართლებს პარტიისა და ხალხის ნდობას, გაუფლებს მშრომელთა მასებს მეათე ხუთწლედში პარტიის დიად წინასწარდასახულობათა შესრულებისათვის.

დიდი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე სოფლის მეურნეობის დარგში.

მარცვლეულის დამზადებ ი ს 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა შესრულებულია 168 პროცენტით, მზესუმზირასი — 117, ჩაისა — 113, შაქრის ჭარხლისა — 109, ეთერზეთოვანი ნედლეულისა — 110, ხილისა — 105, ციტრუსებისა — 130, ბოსტნეულისა — 109, კარტოფილისა — 101, რძისა — 106, ხორცისა — 108, კვერცხისა — 104, მატყლისა — 109 პროცენტით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი სახელოვნება მეჩაიეების წარმატებული მუშობა, რომლებმაც მეათე ხუთწლედის პირველ წელს გადაკჭარეს 1980 წლისათვის დასახული მიზნას, — მოკრეფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 356 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ნედლეული.

1976 წელს მარცვლეული კულტურების ურიგო მოსავალი როდია მიღებული. სახელმწიფოს მიეყიდა 200 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული. კარგი მოსავალი მოიწიეს წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, გორის, ქარელის, აბაშის, ხობისა და მთელი რიგი სხვა რაიონების მეურნეობებმა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მარცვლეულს მეორე მოსავალი მიიღეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, მეურნეობებში — 16 ცენტნერი ჰექტარზე, ქალაქ წყალტუბოს ზონის მეურნეობებში — 10 ცენტნერი, ქალაქ ჭიათურის ზონის მეურნეობებში — 11 ცენტნერი.

100 ათასი ტონა კარტოფილის დამზადების გეგმა შესრულდა ახალქალაქელი, ბოლნისელი, მარნეულელი, ბოგდანოვკელი მეკარტოფილეების სასახელო შრომის მეოხებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ჩამორჩებიან წალკის, თეთრი წყაროს, დმანისის რაიონების მეკარტოფილეები. მარტო ამ სამმა რაიონმა სამშობლოს დაკარგა 15 ათას ტონაზე მეტი კარტოფილი, ანუ დამზადების მთელი გეგმის 14 პროცენტი.

კარგ წარმატებებს მიაღწიეს გარდაბნის, მარნეულის, გორის, ქარელის, ცხინვალის, სამტრედიის რაიონების მებოსტნეებმა, რომლებმაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ბოსტნეულის დამზადების გეგმები, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, წულეკიძისა და ლაგოდეხის რაიონების მეურნეობებმა ეს გეგმები მთლიანად ვერ შეასრულეს.

1976 წელს აღმოსავლეთ საქართველოს სამრეწველო მევენახეობის ძირითად რაიონებში, ტემპერატურის მკვეთრი შემცირების შედეგად, მეტ-ნაკლებად დაზიანდა ვენახები, რის შედეგადაც სახელმწიფოს დააკლდა 140 ათას ტონამდე ყურძენი.

ასეთი მდგომარეობა რესპუბლიკის მევენახეთა წინაშე აყენებს სერიოზულ ამოცანებს ყინვით მიყენებული ზიანის ლიკვიდაციისათვის, ვენახების მოვლის გაუმჯობესებისათვის, რათა მომდინარე და უახლოეს წლებში ავანაზღაუროთ სახალხო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი.

როგორც ვიცით, წარსული (1975-1976) წლებს პირტუტყვის გამოზამთრება ძნელი იყო. ბევრი ტრიბუნიდან არაერთგზის აღინიშნა, რომ საქიროა მთელი რეზერვების დარაზმვა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად, ამ საკითხზე მივიღეთ სპეციალური დადგენილება. მაგრამ მთელ რიგ რაიონებში პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გულგრილობა გამოიჩინეს არა მარტო საზამთრო საკვების მარაგის შექმნისადმი, არამედ საგეგმო დავალებათა შესრულებისადმიც.

საინტერესოა გაითხოთ ცაგერის, ორჯონიკიძის რაიონების მეურნეობების, ქალაქ ტყიბულის ზონის, აფხაზეთის მეურნეობათა ხელმძღვანელებს — როგორ აპირებენ პირუტყვის წარმატებულ გამოზამთრებას, როცა გაცილებით ნაკლები უხვნი საკვები აქვთ მომზადებული როგორც საგეგმო მაჩვენებლებთან შედარებით, ისე შარშანდელთან შედარებით?

წინასწარი მონაცემების თანახმად, 1976 წელს რესპუბლიკის სახაზგადოებრივმა მეურნეობ ებ მ ა ხორცის (ცოცხალი წონა) წარმოების გეგმა შეასრულეს 102 პროცენტით, რძისა — 100,7 პროცენტით, კვერცხისა — 95 პროცენტით და მატყლისა — 101 პროცენტით.

ამასთან რესპუბლიკის თხუთმეტი რაიონის მეურნეობებმა, მათ შორის წულუკიძის, საჩხერის, წალენჯიხის, ქალაქ წყალტუბოს ზონის მეურნეობებმა ვერ შეასრულეს ხორცის წარმოების გეგმები, ექვსმა რაიონმა კი, და მათ შორის გურჯაანის, წითელწყაროს, ლენტეხის რაიონებმა თუმცა შეასრულეს გეგმებმ, მაგრამ 1976 წელს 1975 წელთან შედარებით შეამცირეს ხორცის წარმოების მაჩვენებელი.

რძის წარმოების მხრივ ცხრამეტმა რაიონმა — ცაგერის, სიღნაღის, მარნეულის, ლენტეხის, ამბროლაურის, ონის და სხვა რაიონებმა, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა ვერ მიაღწიეს საგეგმო მიჯნებს, ხოლო ცხრა რაიონში, და მათ შორის ისევ ცაგერის, ამბროლაურის, სიღნაღის რაიონებში 1976 წლის ეს მაჩვენებელი 1975 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე უარესია.

ჩვენმა მეფრინველეებმა შარშანაც ვერ შეასრულეს პირობა, ვერ გაანაღდეს კვერცხის წარმოების გეგმა.

ვწყვიტეთ რა მეათე ხუთწლედის მეორე წლის საარსებო ამოცანებს, უნდა ვიხელმძღვანელოთ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, იმ წერილში ჩამოყალიბებული რეკომენდაციებით, რომლითაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, მეცნიერებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მომწოდებელი მრეწველობის მუშაკებს, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს. წერილში ხაზგასმულია, რომ გასული წლის სტიქიური უბედურების — გვალვის, სეტყვისა და სხვათა შედეგების დაძლევისას უნდა გვახსოვდეს, რომ ამინდი შეიძლება კვლავ არახელსაყრელი იყოს, ამიტომ დროულად უნდა მოვემზადოთ ყოველგვარი მოულოდნელობისათვის.

ყველას უნდა ახსოვდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილის სიტყვები: „ხალხი ამბობს, ჭირნახული დღევანდელი პურია, თესლი კი ხვალინდელიო“, სეზონიზულად უნდა მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის, მაღალხარისხოვად და დროზე ჩავატაროთ ყველა აგროტექნიკური ღონისძიება, ახლავე ჩავუყაროთ საფუძველი უხვ მოსავალს.

დროა, ამხანაგებო, სერიოზულად ვიგრძნოთ პასუხისმგებლობა ყოველივე იმისთვის, რაც ჩვენს გარშემო ხდება. ძველი შეცდომები, მაგრამ დღევანდელი და ხვალინდელი დღისათვის ჩვენ უნდა ვაგოთ პასუხი. ყველაფრისათვის პასუხს აგებს მხოლოდ ის, ვინც კომპეტენტურად, კვალიფიციურად, საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს პარტიის მიერ მინდობილ სამუშაოს უბანს. უნდა გვეყოს ვაჟკაცობა ვალიაროთ საკუთარი შეცდომები და ვეძიოთ ძალა მათი გამოსწორებისათვის.

გამოთქვა რა რწმენა, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა შეასრულონ პარტიის დავალებანი, ამხ. ე. ა. შევარდნაძემ მადლობა მოახსენა მოწინავე რაიონებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, აგროსამრეწველო გაერთიანებებს, სოფლის ყველა შრომმოყვარე კოლექტივს, მუშებს, კოლმეურნეებს, სპეციალისტებს, რომლებიც პატრიოტულად შრომობენ საბჭოთა საქართველოს სოციალისტური სოფლის შემდგომი აყვავებისათვის, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რესპუბლიკის მშრომელთა ამოცანებს ამ დადგენილების შესასამართლად, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს მეათე ხუთწლედის მეორე წელს სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. მან საგანგებოდ გამოყო ამოცანა, რომ საქიროა ქმედითი ბრძოლა, რათა უზრუნველყოთ წარმოების ეფექტიანობა, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება და ყველა სახეობის პროდუქციის ხარისხი, დავიჭაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპი, გავხარდოთ მეცნიერული კვლევის შედეგიანობის კოეფიციენტი, ფართოდ დავნერგოთ მეცნიერული ნაშუშევრები სოფლის მეურნეობაში, კიდევ უფრო განვავითაროთ რაციონალიზატორობა და გამომგონებლობა, დროზე ავამოქმედოთ მშენებლობადამთავრებული და ასამუშავებელი ობიექტები, დავიჭაროთ მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების ტემპი, განვამტკიცოთ სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გავზარდოთ მარცვლეულის, ხორცის, რძის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა, გავაუმჯობესოთ სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხი, გავაფართოოთ და განვაახლოთ მისი ასორტიმენტი.

ყველა ჩვენს გამარჯვებაში, მუშათა კლასთან და კოლმეურნე გლეხობასთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს სახელოვან ინტელიგენციას — მეცნიერებს, პედაგოგებს, ინჟინრებს, ექიმებსა და სხვებს.

ჩვენ, თქვა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, განსაკუთრებული მადლიერებით მივმართავთ ჩვენს მეცნიერ და შემოქმედ ინტელიგენციას — სწავლულებს, მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, კინემატოგრაფისტებს, არქიტექტორებს, მსახიობებს, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, რომლებიც ქალაქისა და სოფლის სახელოვან შრომელთა მხარდამხარ მიაბიჯებენ კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში, იმ ადამიანთა პირველ რიგებში, ვინც მეათე ხუთწლედის მწვერვალებს ლაშქრავს.

ამოცანები, რომლებიც მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, მომსახურების სფეროს, კულტურის, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის წინაშე დგას, მით უფრო წარმატებით გადაწყდება, რაც უფრო უკეთ იქნება დაყენებული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კოლკავშირული ორგანიზაციებს ორგანიზატორული, პოლიტიკური, იდეოლოგიური მუშაობა, რაც უფრო მტკიცე იქნება კონტროლი, დისციპლინა, წესრიგი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ნიადაგ სწვდება ყოველი საქალაქო კომიტეტის, რაიკომის, საოლქო კომიტეტის, სამინისტროსა და უწყების, ადგილობრივი საბჭოების, თვითეული სამეურნეო ორგანოს მუშაობას, რათა უზრუნველყოს მეათე ხუთწლედის მიჯნების დაძლევისათვის გაჩაღებული ბრძოლის მაღალი ტემპი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა პარტიულმა, სამეურნეო ორგანომ გულიანად მოჰკიდა საქმეს ხელი და მუშობაც გამოუფით, გეგმებს მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ. მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან ვრდი ეკიდებიან საქმეს ასე სერიოზულად: ბევრი პარტიული კომიტეტი, სამეურნეო ორგანო უნიათოდ, ნება-ნება, ზოზინით მუშაობს. ასე არაფერი არ გამოვა.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ თქვა, რომ საქიროა კიდევ უფრო ამაღლდეს თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი სამუშაო უბნისათვის.

დარწმუნებული ვართ, თქვა მან, რომ საქმის მდგომარეობისათვის ბხოლოდ ცენტრალური კომიტეტის წევრების, რესპუბლიკის აქტივის კოლექტიური პასუხისმგებლობა შეგვძლებინებს უზრუნველყოთ ორგანიზებულობის ძალა დონე წლისა და მთელი ხუთწლედის განმავლობაში, რომ მხოლოდ მაშინ შევძლებთ ნამუდვილად განვახორციელოთ ჩვენს წინაშე მდგომი დიდი ამოცანები, თუ ყოველ ჩვენგანს ექნება შეგნებული თავისი დიდი მოვალეობა პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე.

მაშ ასე, ახალი წელი დაიწყო. მერე რა, რომ ახალი წლის დადგომიდან სულ რაღაც ორიოდე კვირა გავიდა — ჩვენ დღეს უკვე უფლებაც გვაქვს ეთქვა ეალდებულიც ვართ ვილაპარაკოთ სასტარტო პერიოდისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ძირითად ტენდენციაზე.

რესპუბლიკის ჩამორჩენილ სამრეწველო საწარმოთა სიაში ისევ ვხედავთ ზუგდიდის ფაიფურ-ქაშანურის, გარდაბნის მუყაორუბეროიდის ქარხნებს, საწარმოო გაერთიანება „საქლვინომანქანას“ და ზოგიერთ სხვა საწარმოს.

რიტმულად არ მუშაობდნენ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „საქყოფქიმის“ კოლექტივები.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა ზოგიერთი ობიექტური მიზეზი, თუ რატომ ჩამორჩნენ და არ მუშობენ რიტმულად ხუთწლედის მეორე წლის პირველ დღეებში მთელი რიგი საწარმოები, მერე კი თქვა: იქ, სადაც საქმეს სრული პასუხისმგებლობით ეკიდებიან, ობიექტური მიზეზების როლი მცირდება.

ჩვენ, ამხანაგნო, კოლექტიური პასუხისმგებლობა გვაკისრია 1977 წლის დაჯილებათა შესრულების ბედისათვის, პასუხის გაცემა კი ყველას ცალ-ცალკე მოუვიწევს ჩვენ-ჩვენი სამუშაო უბნისათვის. ასე რომ, ყოველი ჩვენგანი მზად უნდა იყოს პასუხის გასაცემად, მომთხოვნელობა კი მკაცრი იქნება, შესაძლოა — უკომპრომისოც!

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ გაკრიტიკა პარტიის ახალციხის რაიკომი, მისი პირველი მდივანი ამხ. ნ. გაბაშელი, რომლებიც სერიოზული გადაუჭრელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ რაიონის ეკონომიკის წამყვანი მიმართულებისა და კადრების შერჩევის დარგში.

მეათე ხუთწლედის მეორე წელი საერთოდ, შეიძლება ითქვას, — წარმატებით დაიწყო, მაგრამ ზოგიერთი საწარმოში, მეურნეობაში, რაიონში, ქალაქში არსებული საქმის მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პარტიული და საბჭოური ხელმძღვანელები ყველგან როდი მიუდგნენ რესპუბლიკის წინაშე ამ ეტაპზე მდგომი ამოცანების გადაჭრის სრული გაგებითა და სათანადო პასუხისმგებლობით. ამას მოწმობს იანვრის პირველი დეკადის მთელი რიგი მაჩვენებლები, ზოგან კი უკვე საკმაოდ გარკვეით გამოხატული ტენდენციებიც. საქართველოა თქვა, რომ იანვრის მარტო პირველი 10 დღის მანძილზე და მარტო ისეთ დიდ რეგიონებსა და ქალაქებში, როგორიცაა აფხაზეთი, აჭარა, რუსთავი, ქუთაისი, გორი, ჩამორჩენა 57 საწარმო, რომლებმაც დაგეგეალეს 7 მილიონ მანეთისაზე მეტი ღირებულების პროდუქცია. ვერ უზრუნველყვეს 9 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქციის რეალიზაცია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხელმძღვანელი სამეურნეო — ეკონომიური, სოციალური, კულტურული განვითარების გზაზე აღმოთხრიან ის დაბრკოლებანი, რომლებსაც ადგილობრივი მუშაკები თავიანთი ძალებით ვერ მოერევიან.

მაგრამ ჩვენ ყოველნაირად უნდა ვეცადოთ იმის, რომ რაც შეიძლება ნაკლებად გაისმოდეს სტანდარტული ფრაზა: „ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო...“ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველმა პარტიულმა კომიტეტმა, თვითეულმა შრომმოყვარე დეპუტატის საბჭოს აღმასკომმა, ყოველმა პარტიულმა ორგანიზაციამ, თვითეულმა შრომითმა კოლექტივმა უნდა შეიძლოს საკუთარი ძალების, საკუთარი რესურსების მაქსიმალური უკუგების მიღება მართვის სრულყოფის, მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების, ყუაირათობის, თვითდამშვიდების, უდისციპლინობის — ერთი სიტყვით, ყოველი იმის წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე, რაც ხელს გვიშლის ჩვენს წინსვლა-განვითარებაში.

ეს გახლავთ, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეს გახლავთ 1977 წლის დავალებებისა და მთლიანად ხუთწლედის წარმატებით შესრულების საწინდარი, მეათე ხუთწლედის პირველი წელი რესპუბლიკის კომპარტიას, ჩვენს პარტიულ და სამეურნეო აქტივს სიმნელეებთან ბრძოლის, ხუთწლედის მორიგი მიჯნების მიღწევისათვის ბრძოლის ახალი გამოცდილება შესძინა.

ამ მიჯნებს, თქვა შემდეგ ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, თუ დავეუფლებით მეურნეობრობის ხელოვნებას, ღრმად შევითვისებთ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის მეცნიერებას. ამბობენ, ერთხელ ბრძენიც შეცდებაო, მაგრამ ჭკვიან ხელმძღვანელს ერთი და იგივე შეცდომა მეორედ აღარ უნდა მოეკიდოს. სტიქია ისეთ ხელმძღვანელთა მეურნეობას ვერას დაკლებს, რადგან ისინი მარტო დღეანდელი დღით კი არ ცხოვრობენ, არამედ ხვალინდელ დღეზეც თიქრობენ. ასეთი ხელმძღვანელები ჩვენ საკმაოდ გვყავს, ისინი პარტიამ აღზარდა, ისინი მასებმა დაანინაურეს, ისინი კომუნისტები არიან, და ჩვენ ვამაყობთ ასეთი მუშაკებით.

ჩვენ წმიდად უნდა დავიცვათ სახელმწიფო დისციპლინის პრინციპები. ყოველი უკანონო განკარგულება — ეს არის სახელმწიფო დისციპლინის ხელყოფა, და თუ ვნებავთ — პარტიის პოლიტიკის ხელყოფა.

მეათე ხუთწლედის მეორე წელი უნდა გახდეს ყველგან და ყველაფერში წესრიგის შემდგომი გაუმჯობესების, გაფლანგვა-დატაცებასთან, მეკრთამეობასთან, წამატებასთან, თვალის აბეზეკასთან, სოციალისტური კანონიერების დარღვევასთან ბრძოლის გაძლიერების წელი.

ჩვენ უაღრესად პასუხსაგები ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი როგორც ორგანიზაციულ-პარტიული, ისე იდეოლოგიური მუშაობის დარგში მეათე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა უზრუნველყოფისაოვის.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რესპუბლიკაში სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაჩაღების საკითხს. სკკპ ცენტრალური კომიტეტი, თქვა მან, ახალ მოთხოვნებს გვიყენებს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესების დარგში, ვალოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხელმძღვანელი სამეურნეო — ეკონომიური, სოციალური, კულტურული ორგანოები ყოველ [illegible] ეხმარენ, რათა რესპუბ[illegible] ნომიური, სოციალური, კულტურული განვითარების გზაზე აღმოთხრიან ის დაბრკოლებანი, რომლებსაც ადგილობრივი მუშაკები თავიანთი ძალებით ვერ მოერევიან.

[illegible] ეს ეხება ეკონომიკის, [illegible] ბის, ფინანსების, ფასების, [illegible] ლებების, ინვესტიციების, [illegible] ბის, ადგილობრივი [illegible] ბის, სამრეწველო, საწარმოო, [illegible] ბის, ეროვნულ-საწარმოო, [illegible] ბის, ეროვნულ-ადგილობრივი [illegible] ბის, ეროვნულ-ადგილობრივი [illegible] ბის, ეროვნულ-ადგილობრივი